



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/156

„ 28 „ სექტემბერი 2015 წ.

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 13¹ მუხლის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის შესაბამისი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი საერთო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

- ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 3 საშტატო ერთეული;
- ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;
- გ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 2 საშტატო ერთეული;
- დ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია - 1 საშტატო ერთეული.

2. აღნიშნულ თანამდებობებზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2015 წლის 29 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი